15 მარტი 2021 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სკრინინგის განცხადება

ქ. ქუთაისი, სულხან-საბას ქ. N12ა-ში ი/მ პეტრე მაჭავარიანს (ს/კ 60001021823) მოწყობილი მაქვს 2019 წლიდან და ფუნქციონირებს პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმო

საწარმოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მეორადი პლასტმასის გადამუშავება და საყოფაცხოვრებო დანიშნულების პლასტმასის ნივთების (სათლი, ვარცლი) დამზადება. საწარმო ნედლეულად იყენებს პლასტმასის ნარჩენების გადამუშავების (ნარჩენების აღდგენა) შედეგად მიღებულ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ე.წ. ჩიფსებს. საწარმოში ხდება სხვადასხვა სახის პლასტმასის (პოლიეთილენის) ნარჩენების გადამუშავება (ნარჩენების აღდგენა) მეორადი ნედლეული მასალის (პლასტმასის გრანულების) მიღების მიზნით (აღდგენის კოდი R3) და პლასტმასის ნარჩენების გადამუშავებით მიღებული პლასტმასის ,,ჩიფსებისაგან'' სხვადასხვა ნაკეთობების დამზადება.

საწარმო შემოწმებული იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ და შედგენილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი 79[7] მუხლის 1 ნაწ. დარღვევით, რაც ითვალისწინებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე.

ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის 10.3 პუნქტის თანახმად ნარჩენების აღდგენა გარდა „არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის"-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსისი მე-7 მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, ამდენად ამავე მუხლების მიხედვით შემუშავებული იქნა ი/მ პეტრე მაჭავარიანის საწარმოს სკრინინგის ანგარიში.

წარმოგიდგენთ ჩემს - ი/მ პეტრე მაჭავარიანის საწარმოს სკრინინგის ანგარიშს, გთხოვთ განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,
ი/მ პეტრე მაჭავარიანი

ს/კ 60001021823 [პ.მაჭავარიანი]

4631
17 03 2021